

ყოველივე ეს სლოვენიაა!

სლოვენია შედარებით მცირე და ახალგაზრდა ქვეყანაა, რომელიც რუკაზე გაჩნდა მხოლოდ 1991 წელს. მას განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს ალპებისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის გასაყარზე, მოიცავს იდუმალ კარსტსა და უზარმაზარ შუა დუნაის დაბლობს. მრავალფეროვანი, მდიდარი ბუნება და კულტურული ტრადიციები საუკუნეების მანძილზე მწერლებისა და მხატვრების შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. სლოვენია ის ქვეყანაა, რომელიც სლოვენიური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის, ცანკარის მიერ აღწერილია, როგორც ტრიგლავის ქვეშ არსებული სამოთხე. მოცემული თავისებურებები საფუძვლად დაედო ამ ახალგაზრდა ქვეყანას, რომელიც ახლად ხდება მოწიფული სახელმწიფო. თუმცა დღეისათვის ის არის ყველა ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის ევროკავშირისა და ნატოს წევრი. ამასთანავე, 2008 წლის პირველ ნახევარში სლოვენია ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელიც წარმოადგენდა ევროკავშირის პრეზიდენტ ქვეყანას.

სლოვენის ბუნებაში დომინირებს მწვანე ფერი, თუმცა ქვეყნის ყველა რეგიონი გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და თავისებური ხასიათით. სლოვენიელები განსაკუთრებით ამაყობენ თავიანთი თანამემამულეების მიღწევებით, ხოლო ქვეყნის ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა შთაგონების უდიდესი წყაროა. კიდევ სად შეგიძლიათ თივის ზვინებით, ლიპიცანერებით, ნამცხვრით პოტივათი, სკებიტო და კრანინას ფუტკრებით დატკობა, სლოვენიურის ან ამდენი დიალექტის სწავლა ესოდენ მცირე გეოგრაფიულ ზონაში? ეს ასევე ის მიწაა, რომელიც ამაყობს თავისი დიდი კულტურული მოღვაწეებით (როგორცაა არქიტექტორი იოჟე პლენჩიკი), ცნობილი გამოგონებებით (ლოგარითმები), სპორტში უთვალავი გამარჯვებით, სპორტის ეროვნული სახეობებით (ალპინიზმი, სირბილი) და ბუნების ჭეშმარიტი სილამაზით. საუკუნეების მანძილზე ეს ისტორია ზემოქმედებას ახდენდა ეროვნულ კულტურასა და ქვეყნის ახალგაზრდულ სულისკვეთებაზე.

ალპების მზიან მხარეს მცხოვრები საზოგადოება

სლოვენის მოსახლეობა ორ მილიონს ოდნავ აღემატება, და ეს შეიძლება უდრიდეს მსოფლიოს რომელიმე დიდი ქალაქის შემოგარენის მოსახლეობის რიცხვს. საერთო ჯამში სლოვენის ყოველ ერთ კვადრატულ კილომეტრზე ცხოვრობს დაახლოებით 100 ადამიანი, ხოლო ევროპასთან შედარებით ეს საშუალოზე დაბალი მაჩვენებელია. სლოვენიური წარმოშობის ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, უნგრეთსა და იტალიასთან მოსაზღვრე რაიონებში ცხოვრობენ ამ ქვეყნების უმცირესობები. სლოვენის კონსტიტუციით ყველა მათგანის უფლება გათვალისწინებულია. ამასთანავე, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს, ძირითადად დასავლეთ ბალკანეთიდან, სლოვენიაში გააჩნიათ მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი. სლოვენიელები პატრიოტები არიან, და ისინი აფასებენ თავიანთ ცხოვრებას. სლოვენიელების აზრით, ისინი შრომისმოყვარენი, ბეჯითები და აქტიურები არიან, ინდივიდუალისტები, ასევე კარგად საუბრობენ უცხო ენებზე. ისინი ამაყობენ თავიანთი კულტურით და ენით, რომელიც მათთვის ეროვნული საგანძური და ეროვნული თვითშეგნების მაჩვენებელია. ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული სიმბოლოა ტრიგლავი იულოუსის ალპებში, უმაღლესი მწვერვალი სლოვენიაში, რომლის თავყანისცემა ლეგენდარულ ხასიათს ატარებს. სლოვენიელები აფასებენ მრავალფეროვნებას. ცნობილია, რომ სლოვენიელების დიდი რიცხვი მოგზაურობს, თუმცა ისინი იშვიათად

იცვლიან საცხოვრებელ ადგილს. სლოვენიელებს კარგი განათლება აქვთ, და მათში უმუშევრობის დაბალი დონეა. თუმცა, ისევე, როგორც სხვა თანამედროვე ევროპული საზოგადოებების შემთხვევაში, ქვეყანაში აღინიშნება მოხუცი მოსახლეობის მაღალი და შობადობის დაბალი დონე.

ქვეყანა

სლოვენია ევროპის ახალგაზრდა დემოკრატიულ საზოგადოებათა თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი დემოკრატიული რესპუბლიკაა. სლოვენიაში დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 25 ივნისს ექვსი თვით ადრე მიღებული პლებისციტური გადაწყვეტილების საფუძველზე. ამომრჩეველთა 88,2 პროცენტმა მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას, არჩევნებში 90 პროცენტიანი მონაწილეობით. ყოველივე ამას დამატა საერთაშორისო აღიარება და გაეროს წევრობა. 2004 წელს სლოვენია გახდა ევროკავშირის წევრი ქვეყანა, 2007 წელს სლოვენიაში მიიღო ევრო, რის შედეგადაც გაწევრიანდა ევროპის სავალუტო კავშირში, ხოლო 2008 წელს ის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო ევროკავშირში ახლად გაწევრიანებულ სახელმწიფოებს შორის, რომელიც გახდა ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყანა. სლოვენია საერთაშორისო ასპარეზზე თავიდანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ეს იყო ქვეყანა, სადაც ეწყობოდა ქვეყნების პირველ პირთა შეხვედრები. ის არის საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი და მეგობრული კავშირები გააჩნია მსოფლიოს სხვა

მოკლე ფაქტები

ოფიციალური სახელწოდება: სლოვენის რესპუბლიკა

პო

ლიტერული სისტემა: სპარლამენტო დემოკრატია

დედაქალაქი: ლიუბლიანა

ფართობი: 20.273 კმ2

მოსახლეობა: 2.062.874 (2015 წლის)

ვალუტა: ევრო (1 ევრო = 100 ცენტს)

ენა: სლოვენიური; ეთნიკურად შერეულ რაიონებში ასევე იტალიური და უნგრული

საერთაშორისო სატელეფონო კოდი: +386

დროის ზონა: GMT/UTC +1

მნიშვნელოვანი სატელეფონო ნომრები:

112 სასწრაფო დახმარება

112 მეხანძრეები

113 პოლიცია

1188 ზოგადი ინფორმაცია

1987 გზაზე ტექნიკური დახმარება

სასარგებლო ვებ-გვერდები:

ზოგადი ინფორმაცია სლოვენის შესახებ: www.slovenia.si, www.slovenia.info

სლოვენის მთავრობა: www.vlada.si

მთავრობის საკომუნიკაციო ოფისი: www.ukom.gov.si

სლოვენის რესპუბლიკა: www.gov.si

სლოვენის საავტომობილო ასოციაცია: www.amzs.si

ამინდი: www.arso.gov.si

გამომცემელი: მთავრობის საკომუნიკაციო ოფისი, ლიუბლიანა, 2015

gruzijski jezik



ქვეყნებთან. მიუხედავად იმისა, რომ სლოვენია ახალგაზრდა ქვეყანაა, ის არის განვითარებული და გამოცდილი სახელმწიფო და ინტენსიურად ჩართულია საერთაშორისო მოვლენებში. კონსტიტუციის თანახმად, სლოვენიას გააჩნია სპარლამენტო სისტემა, რომელიც დაფუძნებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და იურიდიულ ძალაუფლებაზე. უმაღლესი საკანონმდებლო უწყებაა ეროვნული ასამბლეა, რომლის 90 წევრის არჩევა ხდება ოთხ წელიწადში ერთხელ. აქედან ერთი წევრი წარმოადგენს იტალიელ და ერთი - უნგრულ უმცირესობას. ხელისუფლებას გააჩნია აღმასრულებელი უფლებამოსილება. სლოვენისის პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და ქვეყანას საერთაშორისო დონეზე წარმოადგენს. პრეზიდენტის არჩევა ხდება ხუთწლიანი ვადით.


ისტორია

სლოვენიაში სახელმწიფოებრიობა ათასზე მეტი წლის წინ შეიძინა, როდესაც ამ ტერიტორიაზე დასახლდნენ სამხრეთის სლავი წინაპრები და დააარსეს კარანტანის სამთავრო. ისტორიკოსები აცხადებენ, რომ ეს ყოველთვის იყო ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული და მოწინავე სახელმწიფო. გასაკვირი არაა, რომ თომას ჯეფერსონის ეპოქაში ამერიკული კონსტიტუციის ავტორებმა იხელმძღვანელებს კარანტანის სახელმწიფოს პრინციპებით. დღეს ნებისმიერ მოეზაურს სლოვენის დაბლობებსა და მთებში შეუძლია დატკბეს მდიდრული კულტურული ტრადიციებით. ასევე ბევრი რამ

შემორჩენილია ჰაბსბურგების ბატონობის ეპოქიდან. სლოვენიელები ხორვატებსა და სერბებთან ერთად მხოლოდ 1918 წელს გაერთიანდნენ სამეფოს სახით, რომელსაც მოგვიანებით იუგოსლავია დაერქვა. 1991 წელს სოციალისტური იუგოსლავიის დაშლის შემდეგ სლოვენის ისტორიაში სრულიად ახალი ფურცელი გადაიშალა – გაჩნდა დამოუკიდებელი სლოვენია. ალბათ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოსწავლეები იტყოდნენ, რომ სლოვენის ისტორია თითოეული მათგანის ოცნების ასრულება იყო. საუკუნეების განმავლობაში სლოვენიელები ენისა და კულტურული ტრადიციების დაცვით საკუთარ ეროვნულ იდენტობას ინარჩუნებდნენ. ქვეყნების თვითგამორკვევისას სლოვენიელების შემოქმედობითობა მჭიდროდ უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ მათ არ გააჩნდათ საკუთარი სახელმწიფო. სლოვენიელების ენა გახდა მათი ეროვნული იდენტობის და თავდაცვის საფუძველი. ამ მაგალითს მოჰყვა შემოქმედების სხვა ფორმებიც, და შემდგომში ამან ხელი შეუწყო ეროვნული თვითგამორკვევის გაძლიერებას.

ეკონომიკა

ითხმოდებაათიან წლებში აღინიშნა ეკონომიკური წინსვლა, რომელიც დამახასიათებელი იყო უფრო წარმატებული გარდამავალი ქვეყნებისათვის, და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შედარებით უშტკინეულოდ წარიმართა. ბოლო წლებში შეიმჩნევა ძლიერი ეკონომიკური წინსვლა, რომელიც უფრო ინტენსიურიც კი არის, ვიდრე ევროკავშირის საშუალო ეკონომიკური ზრდა. სლოვენისა ქალთა



Špičnik. ფოტოსურათი: ვლადიმერ წესტი / SPIRIT

სლოვენია

დასაქმების მხრივაც მოწინავე პოზიცია უკავია. სლოვენის კომპანიები ქვეყნის შიდა ბაზარსა და საზღვარგარეთ მრავალფეროვან წარმატებულ და ძალზე ინოვაციურ პროდუქციას უშვებენ. გაგიგონიათ ფირმა Elan-ის თხილამურების შესახებ, რომლებსაც სათხილამურო ჩემპიონატებზე იყენებენ? ან კომპანია Seaway-ის კატარღები და Pipistrel-ის ზემსუბუქი თვითმფრინავის შესახებ? ან ეგებ გაგიგონიათ საუცხოო დიზაინის მქონე Gorenje-ს საოჯახო ტექნიკის შესახებ? ყველა მცირე, ნოვატორული კომპანიის ჩამოთვლა შეუძლებელია. თუმცა მათი პროდუქცია გამუდმებით აღწევს (უცხოურ) ბაზრებში. ეფექტურ მუშაობას რამდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს. დაწყებული უკვე საყოველთაოდ ცნობილი სლოვენიური შრომისმოყვარეობით, დამთავრებული სავაჭრო გასაყარზე გეოგრაფიული მდებარეობით. ყოველივე ეს დაკავშირებულია გარემოსთან, მოტივაციასა და ინოვაციასთან, რაც სლოვენის ეკონომიკის უმწიკვლო ხარისხს განაპირობებს. ეკონომიკა დამოკიდებულია მომსახურების დონეზე, ამიტომ სლოვენისა შეუძლია დაიკვიხნოს საინფორმაციო ტექნოლოგიის სფეროში საუკეთესო ხარისხის მომსახურებით. სლოვენიაში ასევე განვითარებულია ფარმაცევტული და საავტომობილო წარმოება. სხვა უმთავრესი ეკონომიკური სექტორები მოიცავს სასურსათო მრეწველობას, ელექტრულ მოწყობილობას, ლითონის დამუშავებას და ქიმიურ პროდუქციას. გარდა ამისა, ტურიზმი თანდათან უფრო მნიშვნელოვანი სექტორი ხდება.

მეცნიერება და განვითარება

დღეს სლოვენიელი მეცნიერები აგრძელებენ სლოვენის ძლიერ მეცნიერულ ტრადიციას, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო სამეცნიერო აღმოჩენებში. სლოვენის მეცნიერების სათავეებთან იდგნენ ის ადამიანები, ვისაც არ ჰქონდათ ინტერნეტ კავშირი და რომლებიც სანთლის შუქზე მუშაობდნენ; ასეთი მეცნიერებია იანეზ ვაიკარდ ვალვაზორი (ლონდონოს სამეფო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მე-17 ს.), გეორგ ვეგა (ლოგარითმული ცხრილები, მე-18 ს.), იოზეფ სტეფანი (გამოსხივების კანონი, მე-19 ს.), ფრიც პრეგლი (ნობელის პრემიის ლაურეატი ორგანულ ქიმიკში, მე-20 საუკუნის დასაწყისი) და ჰერმან პოტორნიკ ნორდუნგი, ინჟინერ-ენტოკტე. თანამედროვე სლოვენის კვლევები ამ გზამკვლევთა მაგალითს ეყრდნობა. დღეს სლოვენის კვლევები საოცრად მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანია. ისინი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. კვლევის რიგ სფეროებში, როგორცაა ინფორმატიკა ან ნანოტექნოლოგია, სლოვენია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიცხვშია. ცოდნა მიჩნეულია ეროვნული განვითარების საფუძველად, და სლოვენის კვლევითი პოლიტიკა თანამედროვე ქვეყნების განვითარების ნიმუშს მიყვება. სლოვენია 1991 წლიდან აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირისა და სხვა ევროპულ კვლევით და განვითარების პროგრამებში. მხოლოდ ევროპის კვლევითი პროგრამების მასშტაბით სლოვენიაში მონაწილეობა მიიღო ათასობით პროგრამაში.

ტურიზმი

სლოვენიაში ნებისმიერი სეზონი მშვენიერია. ევროპის ეს მწვანე ნაწილი მართლაც საუცხოო ადგილია – სადაც არ უნდა გადაღაბოთ ქვეყნის საზღვარი, პეიზაჟის საუცხოო მრავალფეროვნება გეგებებათ. გარდა ამისა, აქ შეხვდებით მეგობრულად განწყობილ ხალხს და საუკეთესო სამზარეულოს, შეგიძლიათ ისარგებლოთ გამაჯანსაღებელი და მინერალური წყლების კურორტებით, ტურისტული ფერმებით და სპორტით. აქ საკუთარი თავის განზვიადება შეგიძლიათ. მხოლოდ ორსაათიანი მგზავრობა გჭირდებათ იმისათვის, რომ ლავარდოვანი ხმელთაშუაზღვისპირეთიდან ალპურ მწვერვალზე მიხვდეთ. იქვე ახლოს მდებარეობს შუა დუნაის დაბლობი ან ქვედა კრანას მონრეალუბული რელიეფის მქონე ნაზი გორაკები. ხოლო გზის გაყოფაზე განლაგებულია საიდუმლოებით აღსავსე კარსტი და მისი მიწისქვეშა სამყარო. ყოველივე ეს მწვანე ფერისაა და, რა თქმა უნდა, აქაური ბუნება ხელუხლებელია, რომ არაფერი ვთქვათ ცხელ წყაროებზე! ყოველივე ეს არის სიახლოვეში და ხელმისაწვდომია, ამიტომაც ადამიანებს სლოვენიაში ხელშეორედ სტუმრობა სურთ! სლოვენიაში მზე წელიწადში 2,000 საათზე მეტ ხანს ანათებს, ამიტომ თითოეული სეზონი სასიამოვნო დასვენებას გთავაზობთ. აქ მრავალი ადგილია, რომელიც ყველაზე მომთხვენ სტუმარსაც კი მოხიბლავს. გილფის მოედნები, სათბილამურო დაღმართები, სხვადასხვა სპორტული ნაგებობა, ადრენალინი და სპორტული გასართობები ყველაზე მომთხვენ სპორტულ ენთუზიასტებსაც კი აღფრთოვანებს. აქ შეგიძლიათ ევლისპედიით, ფეხით მოგზაურობა, არის ექსტრემალური სპორტი და ეწყობა სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები. რა მოსწონთ ყველაზე მეტად სლოვენიაში ჩამოსულ უცხოელებს? პირველ რიგში, ენთუზიაზმი. შემდეგ ის, რომ სლოვენია სასიამოვნო ქვეყანაა. ის, და განსაკუთრებით მისი ხელუხლებელი ბუნება, რბილი კლიმატი, სტუმართმოყვარეობა, მეგობრულად განწყობილი ადამიანები და სხვადასხვა ცხელი წყარო სტუმრებს სულიერად აჯანსაღებს და ფიზიკურად ამხნევებს. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ სლოვენის სიმდიდრე მისი მრავალფეროვნებაა, საუკუნების მანძილზე არსებული ღირებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის და ბუნების თანაარსებობას. და ასევე ის, რომ სლოვენია არის სუფთა, თანამედროვე და უსაფრთხო ქვეყანა. შეუძლებელია, მათ არ დაეუყვროთ.



ლოგარსკა დაბლობი. ფოტო: იაკუე-იერშიჩი



სლოვენია მსოფლიოში ცნობილი ცხენების ლიპიკანერების სამშობლოა. ფოტო: ვეკმიოვ ტლფვიჩსუქ

სლოვენიური სამზარეულო

თანამედროვე სლოვენის კულინარია ალპური, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შუა დუნაის რეგიონების კულტურისა და ციცილიზაციის ზეგავლენას განიცდის. ამ გასაფრში არსებულმა სოციალურმა და ისტორიულმა განვითარებამ ხელი შეუწყო განსაკუთრებული ტიპის კულტურისა და ცხოვრების სტილის, უნიკალური, ირიგინალური, მათ შორის კულინარული, ჩვევების ჩამოყალიბებას. ტრადიციული სლოვენიური სამზარეულო მოიცავს მარცვლეულს, რისი ახალ პროდუქტებს, ხორცს, თევზს, ბოსტნეულს, კარტოფილს, ზეთის ხილს და შაშხს. ის განიცდის სოფლის, ქალაქების და სხვადასხვა სამონასტრო საზოგადოებების ზეგავლენას, რეგიონის მიხედვით. სამზარეულოს გარდა, სლოვენის ღვინის საოცარი მრავალფეროვნება უდიდესი გურმანების გემოვნებას დააკმაყოფილებს. განცხრომის მოყვარულებს შეუძლიათ დატკვნენ ცხელი წყაროებით და გამაჯანსაღებელი კურორტებით, ტურისტული ფერმებით და უმაღლესი კლასის რესტორნებით.



პოტიცა სლოვენიური სადღესასწაულო ნამცხვარია. ფოტო: ტომი იესენიჩიკი



შკოციანის გამოქვაბულები. ფოტო: იაკუე-იერშიჩი

კულტურა და ხელოვნება

ხელოვნებას და კულტურას განსაკუთრებული ადგილი უკავია სლოვენის ისტორიაში, რადგან ისინი წარსულში სლოვენიელებისთვის პოლიტიკური და სამთავრობო ინსტიტუტების ნაკლებობას ანაცვლებდნენ. სლოვენიელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეროვნულ კულტურას, და მათ გააჩნიათ კულტურული დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც არ ჩამოუვარდებიათ ევროპის მოწინავე დაწესებულებებს. არა მხოლოდ დიდი ქალაქები, არამედ სლოვენის თითქმის ყველა კუთხე ინტენსიური კულტურული ცხოვრებით ცხოვრობს. თითქმის ყოველი სლოვენიელი თავისი ბუნებით არის პოეტი, მხატვარი, მზარეული, მოცეკვავე, მეღვინე, მუსიკოსი, რეჟისორი, მსახიობი, ბლოგერი ან გრაფიკერი. მათ იციან, თუ როგორ უნდა შექმნან ხელოვნების ნიმუში ყოველივე იმისგან, რაც

უყვართ. გარდა თაობიდან თაობაში გარდამავალი სხვადასხვა უნარისა და ოსტატობისა, სლოვენიელები ასევე წარმატებით ფლობენ ყველა თაობისათვის ხელმისაწვდომ თანამედროვე ხელოვნების ფორმებს. საოცრად აქტიურია კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება – ახლი რაიონებიდან და შორიდან ჩამოსული სტუმრებისათვის იმართება სხვადასხვა ფესტივალები (განსაკუთრებით ზაფხულის თევებში). პოპულარულია თეატრი და კონცერტები. სლოვენიელებს უყვართ კითხვა და ისინი ამაყობენ თავიანთი კულტურული ტრადიციებით. აქვე უნდა ვახსენოთ სლოვენიური პოეზიის სიამაყე, პოეტი ფრანკე პერმერნი, სლოვენის ეროვნული ჰიმნის, Zdravljica -ს ავტორი. ჰიმნი ერების თანაარსებობისაკენ მოუწოდებს და არის zdravljica, ანუ ყველა კეთილი გულის ადამიანის სადღვერძელო.



კურენტები, კარნავალის დამახასიათებელი ფიგურები. ფოტო: ტომი იესენიჩიკი



იდრასი მაცქანია. ფოტო: იაკა ვინშეკი



ბალეტის წარმოდგენა. ფოტო: SNG ოპერა და ბალეტი

შევიგრძნოთ სლოვენია, ანუ „სლოვენის სიმწვანე“

სლოვენის დევიზი „შევიგრძნოთ სლოვენია“ – გამოხატავს ბუნებასა და სლოვენიელთა შრომისმოყვარეობას შორის თანასწორობას; მასში ასახება ჩვენი ხელუხლებელი ბუნება და მისი დაცვის სურვილი. აქ ყურადღება გამახვილებულია სიმწვანეზე, რადგან ტყეები ქვეყნის ნახევარზე მეტს მოიცავს. სლოვენიაში მწვანე უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ფერი. ეს არის „სლოვენის სიმწვანე“, რომელიც ასახავს ბალანსს ბუნების სიმშვიდესა და სლოვენიელების ბუჯითობას შორის. ის მეტყველებს ბუნების ხელშეუხებლობაზე და მასზედ, რომ ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ბუნების დაცვას. ის ასახავს ცხოვრების სტილის დაბალანსებას, რომელშიც შერწყმულია სლოვენიელთა პირადი მოტივაცია და ერთიანი ხედვა იმის თაობაზე, რომ საჭიროა ბუნების დაცვა. „სლოვენის სიმწვანე“ მეტყველებს ჩვენს მიზანზე შევინარჩუნოთ ყოველივე ის ელემენტარული, რაც სლოვენიელთა ხელშია. ამავე დროს, ის მიუთითებს ადამიანის ხუთივე გრძნობის ჰარმონიაზე, რომელიც საჭიროა სლოვენის შესაგრძნობად. ამიტომ სლოვენის მოვლენებში რჩება არა მხოლოდ მისი წარმტაცი ხედები, არამედ ტყეების სურნელი, მოჩუჩუხე ნაკადული, წყლის საოცარი გემო და ხის სინაზე. ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია სლოვენის შეგრძნება.



შუა საუკუნეების პირანი ადრიატიკის ზღვის მიმხიზბელები პორტია. ფოტო: იაკუე-იერშიჩი



აკაპელა ჯგუფი პერაეტუმ ჯეზაილი. ფოტო: ირენა ჰერაგი/Minutainmaj



ლოულბიანა. ფოტო: მთავრობის საკომუნიკაციო ოფისი